



საქართველოს გეოთერმული ასოციაცია+ Georgian Geothermal association+

Aleqsidze str. 1, Tbilisi, 0193, Georgia

Tel: (995-32) 332867; Fax: (995-322) 332867;

18.02.2023.


#5

ვიდეო კაროტაჟის კვლევის შედეგები

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „საქართველოს გეოთერმულ ასოციაციას“ შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2023 წლის 15 თებერვალს დმანისის ტერიტორიაზე მდებარე ჭაბურღილში განხორციელდა ვიდეო კაროტაჟი.

კვლევისას გამოყენებული იქნა იტალიური წარმოების მაღალი გარჩევადობის ფერადი ვიდეო კამერა.


ჭაბურღილი მოწყობილია 6 მეტრიანი მეტალის საცავი მილებით. მისი უწყლო ნაწილი სუფთაა ნალექის გარეშე.



ჭაბურღილის მილის სურათი 26 სიდრმეზე



მიღების გადაბმის ადგილი



ჭაბურღილის მილის სურათი 57 სიღრმეზე

ჭაბურღილში ფილტრული ნაწილი (გრძლივი ჭრილები) იწყება 73.5 მეტრიდან.



ჭრილებში ჩანს სილის ნაწილაკები და წყლის მცირე ნაკადი-ჩამონადენი 78.8 მეტრიდან, სადაც მთავრდება ფილტრული ნაწილი და იწყება მილის დახურული ნაწილი.



85 მეტრიდან ისევ იწყება მილის ფილტრული ნაწილი. რომლის პირში 90.4 მეტრიდან ფიქსირდება წყლის მცირე ნაკადის გადმოდენა

შემდგომი ფილტრული ნაწილი იწყება 97.7 მეტრიდან 103.7 მეტრამდე, თუმცა აქ არ ფიქსირდება წყლის შემოდენა. შემდეგი ფილტრული ნაწილი იწყება 109.5 მეტრიდან

და მთავრდება 115.5 მეტრზე. ფილტრის ჭრილები ფაქტიურად ამოვსებულია ნალექებით.

ჭაბურღილში წყლის დონე ფიქსირდება 118 მეტრზე. 121 მეტრზე ჩანს ჭაბურღილში ჩაყრილი ნაგავი, ხოლო 121.4 მ მეტრზე ვიდეო კამერა დაედო ჭაბურღილის ფსკერს. საერთო ჯამში წყლიანი ფენის სისქემ შეადგინა 3.4 მეტრი.

რეკომენდირებულია პირველ რიგში ჭაბურღილიდან საამშენებლო ნაგავის ამოღება და მისი გარეცხვა „ჰაერ-ლიფტის“ მეთოდით და ამოტუმვით. შემდგომში ვიდეო გადამოწმებით. შემდომში ტუმბოს მონტაჟი წყლიანი ფენის ძირში.

დანართები: ჭაბურღილების ვიდეო მასალა

შემსრულებლები:

ჯგუფის უფროსი, გეოლ-მინ. მეცნიერებათა დოქტორი
გიორგი მელიქაძე



გეოფიზიკოსი
თორნიკე ჭიკაძე

